

შპს “შპს მაგიო”

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

3

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6-20

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათასი ლარი)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,450	13,607	70,965
გადახდილი ავანსები	31,975	32,356	31,973
მარაგები	620,707	604,068	478,629
სხვა მიმდინარე აქტივები	3,731	0	0
სულ მიმდინარე აქტივები	670,863	650,031	581,567
სხვა არამატერიალური აქტივები	1,285	1,859	2,433
ძირითადი საშუალებები	418,241	318,638	317,907
სულ გრძელვადიანი აქტივები	419,526	320,497	320,340
სულ აქტივები	1,090,389	970,528	901,907
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	230,725	93,118	96,321
საგადასახადო ვალდებულებები	0	14,794	148
მიღებული გრანტები	0	3,308	1,500
სხვა ვალდებულებები	528	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	231,253	111,220	97,969
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	339,400	117,699	285,932
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	339,400	117,699	285,932
სულ ვალდებულებები	570,653	228,919	383,901
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	50,853	141,353	1,417
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	468,883	600,256	516,589
სულ საკუთარი კაპიტალი	519,736	741,609	518,006
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,090,389	970,528	901,907

ხელმოწერილი პირები:

ლაშა ბერუღავა ფინანსური დირექტორი

ამალია დევროსაშვილი დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

(ათასი ლარი)

გადაანგარიშებული

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	3,064,092	2,776,640
სხვა შემოსულობა	0	24,738
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,688,138)	(1,543,128)
საერთო მოგება	1,375,954	1,233,512
დასაქმებულთა ანაზღაურება	(222,732)	(191,524)
ცვეთა და ამორტიზაცია	(122,507)	(104,547)
საპროცენტო ხარჯი :	(21,898)	(23,752)
იჯარის ხარჯი	(1,013,477)	(453,561)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(90,438)	(353,374)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,471,052)	(1,126,758)
საოპერაციო მოგება	(95,098)	106,754
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	1,847	6,178
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(38,122)	(29,264)
მოგება/(ზარალი)	(131,373)	83,668

ხელმოწერილი პირები:

ლაშა ზერულავა ფინანსური დირექტორი

ამალია დვერისაშვილი დირექტორი

შპს "შპს მაგიო"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ათასი ლარი)

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(131,373)	83,668
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	741,609	518,006
კაპიტალის გაზრდა	0	170,622
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(90,500)	(30,687)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	519,736	741,609

ხელმოწერი პირები:

ლამა ბერულავა გენერალური დირექტორი

ამალია დევრისაშვილი დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფული პერიოდის დასაწყისში	13,607	70,965
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	3,595,540	3,231,072
დებიტორებისგან მიღებული თანხები	0	0
სულ შემოსული თანხები	3,595,540	3,231,072
გასავალი საქონლის შეძენაზე:		
შესყიდვები გასაყიდი საქონელი	1,753,063	1,575,738
სულ შესყიდვები	1,753,063	1,575,738
საოპერაციო ხარჯები:		
სახელფასო ხარჯები	173,747	156,119
იჯარა	1,118,662	822,341
საბანკო მომსახურების ხარჯები	37,400	30,055
სხვა ხარჯი	381,279	494,541
სულ გადებული თანხები	3,464,150	3,078,794
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	131,390	152,279
ფულადი შემოსავლები ინვესტიციებიდან	49,773	234,256
სხვა გასავალი ინვესტიციებიდან	150,248	175,749
ძირითადი საშუალებების შეძენა	221,535	104,704
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-322,011	-46,197
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის მიღება / სხვა საფინანსო შემოსავალი	420,000	69,623
სესხის ძირის დაფარვა	198,298	168,233
სესხი	21,898	23,752
სხვა საფინანსო გასავალი	0	40,907
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	199,804	-163,269
სავალუტო კურსის დადებითი ეფექტი	9	280
სავალუტო კურსის უარყოფითი ეფექტი	8,349	450
სავალუტო კურსის ეფექტი	-8,340	-171
ფული პერიოდის ბოლოს	14,450	13,607

ხელმოწერილი პირები:

ლაშა ბერულავა ფინანსური დირექტორი

ამალია დეგოისაშვილი დირექტორი

შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მაგიო“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2014 წლის 14 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, ამალია დევრისაშვილი წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა, ქალის ტანსაცმლით, აქსესუარებით, ფეხსაცმლით და დეკორატიული ნაწარმით. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ჟორდანიას
17

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2,8677	2,6766	2,5922
1 ევრო/ლარი	3,2095	3,1044	3,0701

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოვლენული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
ოფისის სტრუქტურა	5
კომპიუტერული ტექნიკა და სისტემები	5
ავტო და ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	5

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სადრიცხო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები, თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს „მაგნიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

ძირითადი საშუალებები

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	დაცვის სისტემები	კომპიუტერი ული ტექნიკა	ავტომობილი	ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
31.12.2017	121,345	25,776	8,315	9,718	5,614	8,664	138,477
შეძენა	11,235	4,377	2,486	0	20,875	0	65,731
ცვეთა	44,827	7,626	3,463	5,760	3,867	2,201	36,230
31.12.2018	87,753	22,527	7,338	3,957	22,622	6,463	167,978
შეძენა	85000		21147.8		4653.84		110733.56
ცვეთა	49586.23	8264.83	4327.04	3765.17	6322.58	2200.59	47466.15
31.12.2019	123,167	14,262	24,159	192	20,953	4,262	231,245

არამატერიალური აქტივები

დასახელება	არამატერიალური აქტივი
31.12.2017	2,433
შეძენა	0
ცვეთა	574
31.12.2018	1,859
შეძენა	0
ცვეთა	574
31.12.2019	1,285

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

სასაქონლო მატერიალური მარაგი

დასახელება	არამატერიალური აქტივი
31.12.2017	478,241
31.12.2018	603,574
31.12.2019	620,707

2019 წლის განმავლობაში მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	381,5	0
გაცემული ავანსები	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	-	0
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	381,5	0

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	907,57	441
თანხა სალაროში	7,940.43	4,132.64
მისაღები ფულადი სახსრები ობიექტების ტერმინალებიდან	5,223.84	9,032.78
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	14,072	13,607

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

კაპიტალი

დასახელება	31-დეკ-19	31-დეკ-18
კაპიტალი	50583	141353

2019 წლის განმავლობაში, მოხდა მფლობელების მიერ კაპიტალის გატანა 90500 ლარის ოდენობით და ნაშთმა შეადგინა 50583 ლარი.

სესხები

ორგანიზაცია	სესხის გადემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს თიბისი ბანკი	22.06.2017	22.06.2019	12%	GEL	0	117698
სს თიბისი ბანკი	03.06.2019	10.10.2021	12%	GEL	339400	0

კომპანიის მიერ დაფარულ იქნა სასესხო დავალიანება სს თიბისი ბანკის მიმართ მიმდინარე წელს და ასევე იმავე პერიოდში აღებულ იქნა ახალი სესხი 420 000 ლარის ოდენობით, რომლის ნაშთი მიმდინარე წლის მდგომარეობით შეადგენს 339 400 ლარს.

კომპანიის მიერ 2019 წლის განმავლობაში გადახდილ იქნა სესხის მომსახურების პროცენტი 21 897 ლარის ოდენობით, ხოლო სესხის ძირის დაფარვისთვის გადახდილ იქნა 198 248 ლარი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2018
მიღებული ავანსები	528	3,308
სავაჭრო ვალდებულებები	216962	93,118
სახელფასო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	13763	14754
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	231253	111 220

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

შემოსავალი

შემოსავალი	2019	2018
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	3064019	2,751,902
სხვა შემოსავალი	0	24,738
სულ შემოსავალი	3064019	2 776 640

თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2019	2018
გაყიდული საქონელი	1,688,138	1,543,128

შპს „მაგნი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	2019
დაზღვევის ხარჯები	2,690
მივლინება	7,635
ცვეთა და ამორტიზაცია	122,507
შრომის ანაზღაურება	222,732
რემონტის ხარჯები	3,719
რეკლამის ხარჯები	11,542
იჯარა	1,013,477
საბანკო ხარჯი	37,400
სხვა ხარჯი	46,024
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	1,467,726

სხვა შემოსავლები

კომპანიას 2019 წელს სხვა სახეობის შემოსავალი აქ ქონია

მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქრთული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბაზს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულია (2019 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „მაგიო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები


2019 წლის დეკემბერი

(ათასი ლარი)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:


ლაშვილი ფინანსური დირექტორი


ამალია დევიძიშვილი დირექტორი